



ასოციაცია მწვანე ალტერნატივას შენიშვნები და კომენტარები თბილისის მუნიციპალური წყალმომარაგების პროექტთან დაკავშირებით

წყალი ადამიანის არსებობის ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან ელემენტს წარმოადგენს. ყოველ ადამიანს უფლება აქვს მიიღოს საკმარისი ოდენობის, უსაფრთხო, ფიზიკურად და ფინანსურად ხელმისაწვდომი წყალი, როგორც პირადი ასევე საოჯახო მოხმარებისათვის. გარდა ამისა ნებისმიერ ინდივიდსა თუ ადამიანთა ჯგუფს უფლება აქვს, ფლობდეს როგორც სრულ და თანაბრად ხელმისაწვდომ ინფორმაციას წყლის სექტორში მიმდინარე რეფორმების შესახებ, რომელიც ხელისუფლებისა თუ მესამე მხარის მიერ ხორციელდება, ასევე მონაწილეობდეს გადაწყვეტილების მიღების პროცესში¹.

2007 წლის აპრილში თბილისის მუნიციპალიტეტის მფლობელობაში მყოფი შპს. “თბილისის წყალი”-ს მიერ ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკში (ერგბ) შეტანილ იქნა 25 მილიონი ევროს ღირებულების თბილისის მუნიციპალური წყალმომარაგების პროექტი, რომლის მიზნებმა გამოიწვია მოსახლეობის სერიოზული აღშფოთება. პროექტი გულისხმობდა საცხოვრებელ კორპუსებზე საერთო მრიცხველების დამონტაჟებასა და წყლის სექტორის მართვის მიზნით, კერძო სამართლის საზოგადოებრივი პარტნიორობის განვითარებას. მიუხედავად საზოგადოების წინააღმდეგობისა, რაც დაკავშირებული იყო გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობის უგულვებელყოფასთან, აღნიშნული პროექტი ერგბ-ს მიერ 2007 წლის 10 ივლისს მაინც იქნა დამტკიცებული.

აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ამავე წლის აგვისტოში თბილისის მერიისა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ თბილისის წყალმომარაგების სისტემა მოულოდნელად შეტანილი იქნა საპრივატიზაციო ნუსხაში, რამაც კიდევ უფრო ბუნდოვანი გახადა წყლის სექტორში მიმდინარე პროცესები. წყლის სექტორში არსებულ მდგომარეობიდან გამომდინარე, გვინდა წარმოვიდგინოთ ჩვენი შენიშვნები და კომენტარები:

¹ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეკონომიკური სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის N15 ზოგადი კომენტარი;

1. გამჭირვალობა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობა

გაერთიანებული ერების ეკონომიკური სოციალური და კულტურული უფლებების კომიტეტის მიერ გაკეთებული მე-15 ზოგადი კომენტარის 48 მუხლი ითვალისწინებს წყლის სექტორში მიმდინარე რეფორმების ირგვლივ არსებული ინფორმაციის გამჭირვალობასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში საზოგადოების მონაწილეობას. თუმცა თბილისის მუნიციპალური წყალმომარაგების პროექტი ისე იქნა დამტკიცებული ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის მიერ, რომ არათუ არ მოწყობილა პროექტის კომპონენტების შესახებ საზოგადოებრივი განხილვა, არამედ არ იქნა უზრუნველყოფილი თვით პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტაციის საზოგადოებისათვის ხელმისაწვდომობა.

მიუხედავად შპს. “თბილისის წყალი”-დან, თბილისის მუნიციპალიტეტიდან და ერგბ-დან პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტაციის მოთხოვნისა, საზოგადოებისათვის მხოლოდ პროექტის დამტკიცების შემდეგ გახდა ხელმისაწვდომი პროექტის წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დახასიათება.

საზოგადოებისათვის უცნობია ისიც, გაკეთდა თუ არა ქ. თბილისის სრული საკრედიტო ანალიზი², რომელიც უნდა ყოფილიყო პროექტის დამტკიცების ერთ-ერთი საფუძველი. როგორც პროექტის წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დახასიათებიდან ირკვევა, აღნიშნული ანალიზი ბუღალტერთა საერთაშორისო ფორმის მიერ უნდა გაკეთებულიყო.

სრულიად ნათელია, რომ გაეროს წყლის შესახებ არსებული კონვენციის დარღვევა შესაძლოა წყლის სექტორში დაგეგმილი რეფორმების განხორციელების წარუმატებლობის მთავარი მიზეზი აღმოჩნდეს, რასაც უარყოფითი ზემოქმედება ექნება მოსახლეობაზე.

2. პროექტში არსებული დარღვევები

პროექტის მოკლე ანოტაციაში აღნიშნულია, რომ პროექტის დამტკიცებამდე უნდა მომზადებულიყო პროექტის ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი, სადაც აღწერილი იქნებოდა კომპანიის საქმიანობის სრული ფინანსური, ეკონომიკური, ტექნიკური, გარემოსდაცვითი და დაგეგმილი ინვესტიციების მიმოხილვა და ასევე უნდა მომხდარიყო კომპანიის ანგარიშების აუდიტი.

ერგბ-ს მიერ პროექტი ისე იქნა დამტკიცებული, რომ არც ტექნიკურ-ეკონომიკური ანალიზი და არც კომპანიის ანგარიშების აუდიტი არ ჩატარებულა. ერთადერთი

² წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დახასიათება, 12 თავი, გვ. 122;

დოკუმენტი რომლის მიხედვითაც ერგბ-მ პროექტის დამტკიცების დროს იმსჯელა, წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დახასიათება იყო³.

ერგბ-ს მიერ თბილისის მუნიციპალური წყალმომარაგების პროექტის დამტკიცების შემდეგ, თბილისის წყალმომარაგების სისტემა თბილისის მუნიციპალიტეტისა და ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ საკრებულოს ყოველგვარი გადაწყვეტილების გარეშე შეტანილ იქნა საპრივატიზაციო ნუსხაში, რაც სახელმწიფო ქონების და ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გაცემის შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის⁴ დარღვევას წარმოადგენს.

გაურკვეველია ისიც, თუ რატომ იღებს ერგბ-დან სესხს მუნიციპალიტეტი, თუ მას განზრახული აქვს თბილისის წყალმომარაგების სისტემის გასხვისება და რა მოხდება, თუკი აღმოჩნდება, რომ ინვესტორი არ საჭიროებს აღნიშნულ სესხს და ამის გამო, უარს იტყვის სესხის პირობების დაკმაყოფილებაზე.

3. კერძო სექტორის მონაწილეობა

წყლის სექტორში კერძო სექტორის მონაწილეობასთან დაკავშირებით, საინტერესოა საერთაშორისო სავალუტო ფონდის თვალსაზრისი: “კერძო სამართლის საზოგადოებრივი პარტნიორობის გამოყენების უპირატესობაზე მსჯელობისას უმრავლეს შემთხვევაში არგუმენტი მხოლოდ კერძო სექტორის შედარებითი ეფექტურობაა. თუმცა მიუხედავად იმისა, რომ აღნიშნულ საკითხზე უამრავი ლიტერატურა არსებობს, თეორია საკმაოდ ბუნდოვანია, ხოლო ემპირიული მონაცემები კი შერეული.”⁵

წინასწარ ტექნიკურ-ეკონომიკურ დახასიათებაში ნათქვამია, რომ საქართველოს შემთხვევაში, ნაკლებსავარაუდოა, რომ მუნიციპალიტეტს მიეღო სტრატეგიული გადაწყვეტილება კომპანიაში კერძო სექტორის შემოყვანის თაობაზე, ვინაიდან შპს “თბილისის წყალი” მომგებიანი ორგანიზაციაა⁶. გაუგებარია, თუ რამოდენიმე თვის წინ არ არსებობდა წყალმომარაგების სისტემის გასხვისების საჭიროება, რა შეიცვალა მას შემდეგ. *მოვლენების ამგვარი განვითარება საზოგადოებაში ბადებს საკმაოდ საფუძვლიან ეჭვს, რომ შესაძლოა, ერგბ-სა და მუნიციპალიტეტის მალაღჩინოსნებს შორის ადგილი ჰქონდეს კორუფციულ გარიგებას.*

4. წყლის ტარიფი

³ პოლ კოვენდენი, ერგბ-ს უფროსი ბანკირი, მინიციპალური და გარემოსდაცვითი ინფრასტრუქტურა

⁴ “სახელმწიფო ქონების საპრივატიზებო ნუსხას ამტკიცებს საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტრო, ხოლო ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების საპრივატიზებო ობიექტების ნუსხას – შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის წარმომადგენლობითი ორგანო – საკრებულო.”

⁵ საერთაშორისო სავალუტო ფონდი; კერძო სამართლის საზოგადოებრივი პარტნიორობები, 2004 წლის 12 მარტი <http://www.imf.org/external/np/fad/2004/pifp/eng/031204.htm>

⁶ წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დახასიათება, 11.7 თავის პირველ პარაგრაფი;

თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილებით, 2007 წლიდან წყლის ტარიფი გაორმაგებულ იქნა მოსახლეობისათვის და შეადგინა 2.4 ლარი ერთ სულზე. საკრებულოს აღნიშნულ გადაწყვეტილებაში არაფერია ნათქვამი ტარიფის ზრდის მიზეზების შესახებ, უბრალოდ აღნიშნულია, რომ ახალი ტარიფი დადგინდა წყლის ხარჯვის ნორმის 24 კუბ.მეტრის გათვალისწინებით ერთ სულზე, ხოლო ერთი კუბური მეტრი წყლის მომსახურების ტარიფი 10 თეთრს შეადგენს⁷.

როგორც საერთაშორისო გამოცდილება აჩვენებს, წყალმომარაგების სისტემის გასხვისების შემთხვევაში არსებული ტარიფი შესაძლოა, კიდევ უფრო გაიზარდოს. მაგალითად, ინგლისსა და უელსში წყლის სექტორის გასხვისებიდან პირველი ოთხი წლის განმავლობაში წყლის ტარიფი 50 პროცენტზე მეტით გაიზარდა, თუმცა ტარიფის ზრდა სათანადოდ ვერ აისახა სასმელი წყლის ხარისხზე. 1998 წელს ინგლისსა და უელსში სასმელი წყლის ინსპექტორატის⁸ მიერ გაკეთებული დასკვნის თანახმად, წყლის კომპანიები ვერ უზრუნველყოფდნენ მოსახლეობისათვის სათანადო ხარისხის წყლის მიწოდებას. აღნიშნულს ადასტურებდა ის ფაქტიც, რომ ინგლისსა და უელსში პრივატიზაციის შემდეგ 6 წლის განმავლობაში წყალთან დაკავშირებული დაავადებების რიცხვი არ კლებულობდა.

1995 წელს ჩატარდა კვლევა, სადაც ერთმანეთს იქნა შედარებული დიდი ბრიტანეთისა და შვედეთის ქალაქები. როგორც აღმოჩნდა, დიდ ბრიტანეთში წყლის ტარიფი ორჯერ და ხშირ შემთხვევაში მეტჯერ აჭარბებდა შვედეთის ქალაქებში არსებულ წყლის ტარიფს. შეგახსენებთ, რომ შვედეთში წყლის მომსახურებას მუნიციპალური წყლის კომპანიები ახორციელებენ. ეს ნათელი დადასტურებაა იმისა, რომ *წყლის სექტორის ეფექტურად ფუნქციონირებისათვის მისი გასხვისება ან სხვა კერძო სამართლის საზოგადოებრივი პარტნიორობის ფორმის გამოყენება არ წარმოადგენს გამოსავალს.*

პროექტის წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დახასიათებაში⁹ წარმოდგენილია ქ.თბილისის მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობის მოკლე აღწერა. აქ მოყვანილია მხოლოდ სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემები საოჯახო მეურნეობების საშუალო შემოსავლების შესახებ. უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული მონაცემები საკმაოდ ზოგადი და არასრულყოფილია, რაც არ ასახავს მოსახლეობის რეალურ სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას: არ არის შესწავლილი და დახასიათებული კონკრეტული სოციალური ჯგუფები, რა ზეგავლენას იქონიებს წყლის ტარიფის ცვლილება მათზე, არ არის მოცემული ასევე წყლის ტარიფის ზრდით გამოწვეული უარყოფითი შედეგების თავიდან აცილების კონკრეტული გზები და შემარბილებელ ღონისძიებათა ნუსხა.

⁷ ქ.თბილისის საკრებულოს გადაწყვეტილება, 41 დადგენილება: “რეგულირებად ეკონომიკურ სფეროებში ტარიფების შესახებ” მუხლი 1 (ა.ბ)

⁸ სასმელი წყლის ინსპექტორატი, სასმელი წყლის ხარისხზე პასუხისმგებელი მარეგულირებელი ორგანო დიდ ბრიტანეთში

⁹ წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დახასიათება, მე-7 თავი

ზემოთ აღნიშნულ დოკუმენტის¹⁰ თანახმად, რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის გათვალისწინებული იქნება შეღავათები წყლის ტარიფის დასაფარად. გაურკვეველია, რომელი სოციალური ჯგუფი იგულისხმება რეგისტრირებულ სოციალურად დაუცველ მოსახლეობაში. თუ თბილისის მასშტაბით მხოლოდ ის სამოცი ათასამდე ადამიანი, რომელიც საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მიერ იქნა აღრიცხული, მაშინ უნდა აღინიშნოს, რომ ეს არ იქნება საკმარისი წყლის ტარიფის შესაძლო ზრდით გამოწვეული უარყოფითი ზემოქმედებების თავიდან ასაცილებლად, ვინაიდან საქართველოს მოსახლეობის 50 პროცენტზე მეტი სიღარიბის ზღვარს ქვევით ცხოვრობს.

იმ ფაქტის გათვალისწინებით, რომ სკოლის მასწავლებლის ხელფასი საშუალოდ თვეში მხოლოდ 120 ლარს შეადგენს, ხოლო “ერთიანი გადასახადის მაქსიმალური ზღვარი საოჯახო მეურნეობის საშუალო შემოსავლის 4 პროცენტს არ უნდა აღემატებოდეს”¹¹, სრულიად შესაძლებელია ფასების უეცარი ზრდის შემთხვევაში “საოჯახო მეურნეობის ისეთი დანახარჯებზე როგორცაა ელექტროენერგია და გათბობა”, აღნიშნული “4 პროცენტიანი ზღვარიც კი მიუღებელი აღმოჩნდეს დაბალშემოსავლიანი ოჯახებისათვის”¹².

პროექტის წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკურ დახასიათებაში მოყვანილი მონაცემების მიხედვით¹³, ქალაქში დასაქმებულთა საშუალო შემოსავალი 2003-2005 წლებში გაიზარდა 124.9 ლარიდან 204.2 ლარამდე. არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ საშუალო შემოსავლის ზრდა არ ნიშნავს ქვეყანაში სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას. სტატისტიკის დეპარტამენტის მონაცემებით, ამავე პერიოდში უმუშევრობის დონე 11,5 პროცენტიდან გაიზარდა 13,8 პროცენტამდე¹⁴.

5. გამრიცხველიანება

პროექტის ერთ-ერთი მიზანია საცხოვრებელ კორპუსებში საერთო მრიცხველების დამონტაჟება, რაც გულისხმობს იმას, რომ საერთო მრიცხველის ჩვენების შესაბამისად, საცხოვრებელი კორპუსის მაცხოვრებლებმა უნდა გადაიხადონ სულადობის მიხედვით გადასახადი.

¹⁰ წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დახასიათება, 7.2 თავი, 62 გვერდის ბოლო პარაგრაფი
ერგბ-ს წყალთან დაკავშირებული ინსტრუმენტები: წყლის ტარიფების სოციალური და პოლიტიკური მიზანშეწონილობა; “წყლის ფასები ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ-ს ქვეყნებისათვის. I ტომი” თავი 5.3.1 <http://www.ebrd.com/country/sector/muninfra/toolkit/toolkit.htm>

¹²ერგბ-ს წყალთან დაკავშირებული ინსტრუმენტები: წყლის ტარიფების სოციალური და პოლიტიკური მიზანშეწონილობა; “წყლის ფასები ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპისა და დსთ-ს ქვეყნებისათვის. I ტომი” თავი 5.3.1 <http://www.ebrd.com/country/sector/muninfra/toolkit/toolkit.htm>

¹³ დოკუმენტის 7.2 თავის ბოლო პარაგრაფში

¹⁴ www.statistics.ge

პროექტის წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დახასიათების თანახმად, ინდივიდუალური მრიცხველების დაყენება არ შედის კომპანიის ვალდებულებებში და საერთო მრიცხველების დაყენება ერთადერთი ყველაზე ოპტიმალური გამოსავალია, ვინაიდან ინდივიდუალური გამრიცხველიანება საკმაოდ ძვირი დაუჯდებოდა მოსახლეობას. “კომპანია უნდა ათვითცნობიერებდეს, რომ მისი პასუხისმგებლობა სრულდება სხვისი საკუთრების საზღვარზე და შესაბამისად ის არ არის პასუხისმგებელი საცხოვრებელი კორპუსში არსებულ წყალსადენებზე”¹⁵.

მართალია, წყლის კომპანია არ არის ვალდებული საცხოვრებელ კორპუსში არსებული წყალსადენები უფასოდ შეაკეთოს, თუმცა გაურკვეველია, მაშინ ვის მიერ უნდა იქნეს შეკეთებული დაზიანებული მილები და ვინ უნდა აიღოს მილების შეკეთების ხარისხზე პასუხისმგებლობა. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ წყლის მაღალი დანახარჯი საცხოვრებელი კორპუსების შიდა ქსელებისა და სველი წერტილების მოუწესრიგებლობამ განაპირობა, ამკარაა, რომ შიდა ქსელების ხარისხიანი შეკეთება ძალიან მნიშვნელოვანია დადებითი გარემოსდაცვითი ეფექტის მიღწევისათვის.

რაც შეეხება მრიცხველებს, ამ შემთხვევაში, სიტუაცია განსხვავებულია. მომხმარებლიდან წყლის გადასახადების ამოღება კომპანიის ვალდებულებას წარმოადგენს, ხოლო გადასახადის ოდენობა მრიცხველის მიერ დაწერილი ჩვენების მიხედვით განისაზღვრება. ამდენად, სწორედ წყლის კომპანიაა ვალდებული, რომ დაამონტაჟოს ინდივიდუალური მრიცხველები. *ერთ-ერთი მთავარი პრობლემა, რომელიც საერთო მრიცხველებთან არის დაკავშირებული, იმ მომხმარებლების შესაძლო გათიშვა წარმოადგენს, რომლებიც კეთილსინდისიერად იხდიან გადასახადებს. ეს კი გამოიწვევს მეზობლებს შორის დამაბულობის ზრდას.*

საერთო მრიცხველები პირველად ენერგო-სექტორში იქნა გამოყენებული თბილისის ზოგიერთ რაიონსა და საქართველოს რეგიონებში, როგორც ელექტროენერჯის გადასახადების ამოღების საშუალება. მთავარი პრობლემა რაც საერთო მრიცხველების დაყენებამ გამოიწვია, კეთილსინდისიერი მომხმარებლების გათიშვა იყო, რაც ხდებოდა მეზობლებს შორის დაპირისპირების მიზეზი. საქართველოს დამოუკიდებელი ენერგომარეგულირებელი კომისიის მიერ საერთო მრიცხველების გამოყენება აღიარებულ იქნა საქართველოს მოქალაქეების კონსტიტუციით დაცული უფლებების დარღვევად და 2007 წლის 1 ივლისიდან აიკრძალა საერთო მრიცხველების გამოყენება როგორც გადასახადების ამოღების საშუალება.

წინასწარ ტექნიკურ-ეკონომიკურ დახასიათებაში¹⁶ აღნიშნულია, რომ მომხმარებელმა უნდა გაათვითცნობიეროს, რომ მათთვის ინდივიდუალური გამრიცხველიანება იქნება საკმაოდ ძვირი, ვინაიდან თითოეული ბინისათვის სავარაუდოდ საშუალოდ საჭიროა 3 მრიცხველი სააბაზანოში და 1 მრიცხველი სამზარეულოში, რის გამოც საჭირო იქნება დაახლოებით 1.2 მილიონი მრიცხველის შექმნა”.

¹⁵ წინასწარი ტექნიკურ-ეკონომიკური დახასიათება, 9.4.2 თავის, მე-3 პარაგრაფი;

¹⁶ დოკუმენტის 9.4.2 თავის მე-4 პარაგრაფში

პირველ რიგში გაუგებარია, რა საჭიროა ერთ ბინაში 4 მრიცხველის დაყენება. სრულიად საკმარისი იქნებოდა ბინაში შემომავალ წყლის ცენტრალურ მილზე დაყენებულიყო ერთი მრიცხველი. გარდა ამისა, საინტერესოა, რომელ ქვეყანაშია წყლის აღრიცხვის მიზნით ერთ ბინაში 4 მრიცხველი დამონტაჟებული.

რეკომენდაციები

იმისათვის, რომ წყლის სექტორში დაგეგმილი რეფორმები წარმატებით განხორციელდეს, აუცილებელია:

1. საზოგადოებისათვის ნათელი გახდეს ხელისუფლების ხედვა და გეგმები ამ სექტორში;
2. მოეწყოს საჯარო შეხვედრები, როგორც ერგბ-ში შეტანილი თბილისის წყალმომარაგების პროექტის სხვადასხვა კომპონენტების შესახებ, დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციებთან, პოლიტიკურ პარტიებთან, სავაჭრო კავშირებთან და ა.შ. ასევე მოეწყოს წყლის სექტორში დაგეგმილი რეფორმების შესახებ არსებულ სახელმწიფო ხედვასა და სტრატეგიაზე საჯარო განხილვა;
3. ხელმისაწვდომი გახდეს ყოველგვარი დოკუმენტაცია, რომელიც დაკავშირებულია, როგორც ერგბ-ს სესხთან (საგრანტო და სასესხო ხელშეკრულებები მუნიციპალიტეტსა და ერგბ-ს შორის, ქ თბილისის საკრედიტო ანალიზი) ასევე, ზოგადად, წყლის სექტორში დაგეგმილ რეფორმებთან (საპრივატიზაციო განაცხადები);
4. მოხდეს სოციალური მდგომარეობის შეფასება ქალაქში, რათა დადგინდეს შემარბილებელი ღონისძიებები დაბალშემოსავლიანი ოჯახებისათვის და მოხდეს მთავრობის მიერ ამ შემარბილებელი ღონისძიებების გატარების ვალდებულებების აღება;
5. უნდა შეიქმნას ისეთი მექანიზმი, რომლის ფარგლებში საზოგადოებას ექნება საშუალება მონაწილეობა მიიღოს და მეთვალყურეობა გაუწიოს გადაწყვეტილების მიღების პროცესს, რომელიც ეხება წყლის ტარიფის დადგენას, საინვესტიციო ვალდებულებებს, მრიცხველებს და სხვა.